



## თანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და  
სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო  
ადმინისტრირების სკოლას შორის

21.06., 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის მ/შ - გიორგი სოსიაშვილის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის - ქეთევან ჯაყელის სახით (შემდგომში - „მხარეები“), ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

### მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

### მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და განვითარება, მხარეთა მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

### **მუხლი 3. მხარეთა თანამშრომლობის პირობები**

3.1. მხარეები მემორანდუმის მიზნების მისაღწევად თანხმდებიან ერთობლივად თანამშრომლონ შემდეგზე:

- ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, საკვალიფიკაციო კურსების, საზაფხულო სკოლების და პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;
- ორივე მხარისთვის საინტერესო დარგებში ინფორმაციის, მასალებისა და კვლევითი პუბლიკაციების გაცვლა;
- საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა;
- ერთობლივი კვლევების ორგანიზება და სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა;
- ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისად სხვა სახის თანამშრომლობა.

3.2. მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის უნივერსიტეტი:

- უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო ინიციატივებს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური კადრით;
- გამოჰყოფს ფართს სკოლის მიერ განსახორციელებელი სასწავლო ტრენინგ კურსების ჩასატარებლად და უზრუნველყოფს შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობას.

სკოლა:

- აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტს სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ;
- უზრუნველყოფს ერთობლივ პროექტებს მაღალკვალიფიციური კადრით;
- ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების კოორდინაციისა და სამუშაო გეგმების მომზადების მიზნით, მხარეები განსაზღვრავენ პასუხისმგებელ პირებს.

3.3. თანამშრომლობის დამატებითი პირობები და ახალი მიმართულებები შესაძლებელია განისაზღვროს მხარეთა შორის მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით.

### **მუხლი 4. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები**

თანამშრომლობა მხარეებს შორის განხორციელდება ურთიერთთანასწორობის პრინციპების დაცვით. თითოეული მხარის კოორდინატორი დაამუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას.

### **მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძველები**

5.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით.

5.2 წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადა გაგრძელდება ავტომატურად, თუ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტას.

5.3 წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადაზე ადრე მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.

#### მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შესამღებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

6.2 წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

6.3 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

#### მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტი

საქართველო, 1400

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53

ელ.ფოსტა: [contact.gu.edu.ge](mailto:contact.gu.edu.ge)

ვებ-გვერდი: [www.gu.edu.ge](http://www.gu.edu.ge)

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო  
ადმინისტრირების სკოლა

საქართველო, 4600

ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N13

ელ. ფოსტა: [zspa@zspa.ge](mailto:zspa@zspa.ge)

ვებ-გვერდი: [www.zspa.ge](http://www.zspa.ge)

გორგი სოსიაშვილი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ქეთევან ჯაყელი

დირექტორი

